ა) მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, სამხედრო სამსახურისათვის მომზადება და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზება;

ბ) ახალგაზრდებთან პატრიოტულ-აღმზრდელობითი მუშაობა;

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქალაქეთა მიერ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლი;

დ) სამობილიზაციო რესურსების (რეზერვის ოფიცერთა, რიგითთა, კაპრალთა, სერჟანტთა და ტექნიკის) აღრიცხვის ორგანიზება;

ე) აქტიურ, ინდივიდუალურ და ეროვნული გვარდიის რეზერვისტთა შერჩევა, მოზიდვა და გაწვეულთა შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში გაგზავნა;

ვ) რეზერვისტთა სპეციალური აღრიცხვის (დაჯავშნის) ორგანიზება;

ზ) ჭაბუკებისა და წვევამდელი ასაკის მოქალაქეთა ზუსტი აღრიცხვა;

თ) 17 წლის ასაკის ჭაბუკთა პირველადი სამხედრო აღრიცხვა;

ი) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში დაწყებითი სამხედრო მომზადების მიმდინარეობის კონტროლი;

კ) მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გასაწვევად მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულება;

ლ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამწვევი კომისიის მუშაობის ორგანიზება და გაწვეულთა შემკრებ გამანაწილებელ პუნქტში წარდგენა;

მ) სასწავლო დაწესებულების და ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მიერ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონისა და „მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის შესახებ“ დებულების მოთხოვნათა დაცვის კონტროლი;

ნ) ხალხისა და სატრანსპორტო რესურსის მობილიზაცია; სამობილიზაციო მოთხოვნათა დაკმაყოფილება ადგილობრივი რესურსის ხარჯზე, საჯარისო-სამობილიზაციო გაშლისათვის შესაბამისი ბაზის მომზადება;

ო) თეორიული მეცადინეობის მოწყობა გაძლიერების აპარატსა და თანამშრომლებთან, რომლებიც მიმაგრებული არიან სამხედრო განყოფილებაზე მობილიზაციის დროს;

პ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების აღრიცხვა და მათთან მუშაობის ორგანიზება;

ჟ) მოქალაქეთა საჩივრების და განცხადებების განხილვა, შესაბამისი ზომების მიღება, მასში დასმული საკითხების დროულად და კანონის ფარგლებში გადაწყვეტა;

რ) სამართალდაცვის ორგანოებისათვის მასალების გადაცემა იმ მოქალაქეების შესახებ, რომლებიც არღვევენ სამხედრო აღრიცხვიანობისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის წესებს;

საქმიანობის მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ, საქართველოს მთავრობის დადგენილებისა და ქედის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად შესრულდა 18 დან 27 წლამდე ასაკის წევრადელთა (2018-2019-2020 წლების) საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევა სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ქედის მუნიციპალიტეტს განესაზღვრა 2018 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო წევრადელების გაწვევის გეგმა - დავალება, რომელიც შეადგენდა 52 წევრადელს.

2018 წლის განმავლობაში წევრადელთა შემკრებ გამანაწილებელ ცენტრში გადაყვანილი იქნა 74 წევრადელი, მათგან მუდმივმოქმედმა სამხედრო - სამედიცინო საექსპერტო კომისიამ

ცნო ვარგისად სამხედრო სამსახურისთვის და გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 31 წევრამდელი.

- 23 წევრამდელი მუდმივმოქმედმა სამხედრო სამედიცინო - საექსპერტო კომისიამ ცნო შეზღუდულად ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის.
- 16 წევრამდელი ჩაითვალა დროებით უვარგისად სამხედრო სამსახურისათვის და მიეცათ გაწვევისაგან გადავადების უფლება ერთი წლის ვადით.
- 4 წევრამდელი გაიგზავნა დამატებით გამოკვლევაზე და მათ შესახებ სამსახურს არ მიუღია შესაბამისი სამედიცინო დასკვნა.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის მიზნით:

- 2018 წელს შ.ს.ს. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ვადიან საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა 8 წევრამდელი.
 - სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ჩაირიცხა 4 წევრამდელი.
 - სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გადავადების უფლებით ისარგებლა 2-მა წევრამდელმა - გადაიხადა მოსაკრებელი 2000 (ორიათასი) ლარი.
 - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197¹-ე მუხლის თანახმად, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამწვევ კომისიაზე გამოუცხადებლობისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისათვის თავის არიდების გამო 1000 (ათასი) ლარის ოდენობით დაჯარიმდა 5 წევრამდელი.
- სამსახურს აქვს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შექმნილი წევრამდელთა ერთიანი ელექტრონული ბაზა, სადაც 2018 წელს სულ 1478 წევრამდელზეა მონაცემი შეტანილი.

2018 წელს რეზერვში ჩაირიცხულია 135 სამხედრო ვალდებული, მათ შორის 27 წლის შესრულების გამო 79 მოქალაქე, სამხედრო ძალებიდან დათხოვნილი 56 მოქალაქე.

2018 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ გაცემულია წევრამდელის სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა 82 წევრამდელზე და რეზერვისტის დროებითი მოწმობა 51 მოქალაქეზე.

2018 წლისათვის სამხედრო სავალდებულო სამსახურისათვის თავის ამრიდებელ 120 წევრამდელის სია გადაეცა პოლიციას შესაბამისი რეაგირებისათვის, რის შედეგადაც გამოცხადდა 19 წევრამდელი, მაგრამ დანარჩენის შემთხვევაში შედეგი არ დამდგარა, რაც საჭიროებს სამსახურის მხრიდან დამატებით სამუშაოების ჩატარებას.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ქედის მუნიციპალიტეტს განესაზღვრა 2019 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო წევრამდელების გაწვევის გეგმა - დავალება რომელმაც შეადგენა 45 წევრამდელი.

წლის განმავლობაში მიმდინარე პერიოდისათვის წევრამდელთა შემკრებ გამანაწილებელ ცენტრში გადაყვანილ იქნა 54 წევრამდელი, მათგან მუდმივმოქმედმა სამხედრო - სამედიცინო საექსპერტო კომისიამ ცნო ვარგისად სამხედრო სამსახურისთვის და გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 35 წევრამდელი.

- 7 წვევამდელი მუდმივმოქმედმა სამხედრო სამედიცინო - საექსპერტო კომისიამ ცნო შეზღუდულად ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის.
 - 7 წვევამდელი ჩაითვალა დროებით უვარგისად სამხედრო სამსახურისათვის და მიეცათ გაწვევისაგან გადავადების უფლება ერთი წლის ვადით.
- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის მიზნით:**

- შ.ს.ს. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ვადიან საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა 17 წვევამდელი.
- სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ჩაირიცხა 8 წვევამდელი.
- თავდაცვის ძალების პროფესიულ სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულია 2 წვევამდელი.

2019 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ გაცემულია რეზერვისტის დროებითი მოწმობა 47 მოქალაქეზე.

2019 წელს სამართალ დამცავ ორგანოებზე მიწოდებულ იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურისათვის თავის ამრიდებელ 145 წვევამდელის სია, საიდანაც გამოცხადდა 31 კაცი. დანარჩენი წვევამდელის საქმე სამართალდამცავების მიერ გაურკვეველი დარჩა, შესაბამისად სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ ქმედითი ღონისძიებები არ გატარებულა.

2020 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო წვევამდელების გაწვევის გეგმა - დავალება შეადგენდა 62 წვევამდელს.

წლის განმავლობაში აღნიშნული პერიოდისათვის წვევამდელთა შემკრებ გამანაწილებელ ცენტრში გადაყვანილ იქნა 24 წვევამდელი, მათგან მუდმივმოქმედმა სამხედრო - სამედიცინო საექსპერტო კომისიამ ცნო ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის და გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 16 წვევამდელი.

- 6 წვევამდელი მუდმივმოქმედმა სამხედრო სამედიცინო - საექსპერტო კომისიამ ცნო შეზღუდულად ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის.
- 2 წვევამდელი ჩაითვალა დროებით უვარგისად სამხედრო სამსახურისათვის და მიეცათ გაწვევისაგან გადავადების უფლება ერთი წლის ვადით.
- 1 წვევამდელი გაიგზავნა დამატებით გამოკვლევაზე, მაგრამ მის შესახებ არ არის მიღებული სამედიცინო დასკვნა.

ასევე 2020 წელს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის მიზნით:

- შ.ს.ს. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ვადიან საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა 9 წვევამდელი.
- სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ჩაირიცხა 6 წვევამდელი.

2020 წელს რეზერვში ჩარიცხულია 145 სამხედრო ვალდებული, მათ შორის 27 წლის შესრულების გამო 82 მოქალაქე, სამხედრო ძალებიდან დათხოვნილი 52 მოქალაქე, სხვადასხვა სპეცსამსახურებიდან 11 მოქალაქე.

წლის განმავლობაში სამსახურში შესულია 225 კორესპოდენცია და 14 განცხადება. ადგილზე შექმნილია და გასულია 93 კორესპოდენცია და გაცემულია 3 ცნობა.

2018 წელს სამსახურში შევიდა 256 კორესპოდენცია და 15 განცხადება. გასულია 92 კორესპოდენცია, 6 მოქალაქეზე გაცემულია სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის დამადასტურებელი ცნობა.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2018 წლის ბიუჯეტი გეგმა იყო 60400 ლარი, საიდანაც შესრულებამ შეადგინა 59884 ლარი, სამსახურის 2019 წლის ბიუჯეტის გეგმა იყო 62000 ლარი ხოლო შესრულებამ შეადგინა 61583 ლარი, ასევე 2020 წლის ბიუჯეტის გეგმა იყო 59900 ლარი, ხოლო შესრულებამ შეადგინა 52732 ლარი. სამსახურის ბიუჯეტის სამივე წლის ძირითად ხარჯს წარმოადგენდა შრომის ანაზღაურება საიდანაც დახარჯულია 68%, მივლინებაზე დაიხარჯა 2,2%, ოფისის ხარჯმა შეადგინა 8,8%, ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის მოვლა შენახვის ხარჯი კი დაგეგმილი ბიუჯეტის 21% შეადგინა.

სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ახალგაზრდებთან პატრიოტულ-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმა და შესაბამისი მიმართულებით განხორციელებული საქმიანობების დოკუმენტაცია. ასევე არ ხდება ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში დაწყებითი სამხედრო მომზადების მიმდინარეობის კონტროლი;

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურმა:

ა) მკაცრ კონტროლზე აიყვანოს სამხედრო სამსახურისათვის თავის ამრიდებელი 2018-2020 წელს სამართალდამცავ ორგანოებზე გადაცემული სამართალდამცავი ორგანოს მიერ გაურკვეველი 215 წვევამდელის (2018 წელს 101 წვევამდელი, 2019 წელს 114 წვევამდელი) საქმიანობა და მათ მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები (ჯარიმა, გადავადების მოსაკრებლის გადახდა და ა. შ.)

ბ) მეტი ყურადღება დაუთმოს მოქალაქეთა პირველადი სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის საქმეს და არ დაუშვას მოსაკრებლის გადახდის გარეშე სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების უფლებით სარგებლობა.

1. ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ის შექმნისა და წესდების დამტკიცების სამართლებრივი საფუძველია - ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 10 აპრილის №431 ბრძანება.

ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ წესდებიდან გამომდინარე ძირითად მიმართულებას მიეკუთვნება:

- ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას. ბავშვთა აზროვნების, ემოციური სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას. მათ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას, სხვისი აზრისა და საერთო ღირებულებებისადმი პატივისცემის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.
- იზრუნოს ბავშვის სრულფასოვან განვითარებაზე, დაიცვას ბავშვი ნებისმიერი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზემოქმედებისაგან, დაიცვას მისი უფლებები, ხელი შეუწყოს ბავშვის შემოქმედებითი შესაძლებლობისა და ინტერესების განვითარებას.
- ბავშვებს შეუქმნას ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური სრულყოფის პირობები.

2. აუდიტის მიგნება

2.2 ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ის 2019-2020 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშგების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობა.

ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2018 წლის 28 დეკემბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №49 დადგენილებით, რომლითაც ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ის ბიუჯეტი განისაზღვრა 1397080 ლარით.

ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ის საკასო ხარჯმა 2019 წელს, შეადგინა 1356377.68 ლარი, რაც საბოლოოდ დამტკიცებული ბიუჯეტის 97,09%-ია, აუთვისებელი თანხა 2019 წლის ბოლოს დარჩა 40702.32 ლარი.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

- ✓ თანამდებობრივი სარგოს მუხლით საკასო შესრულებამ შეადგინა 927787,04 ლარი.
- ✓ პრემირების მუხლით მუშაკებზე გაიცა 37705.40 ლარი.
- ✓ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებამ შეადგინა 27179.98 ლარი.
- ✓ მივლინებების მუხლით დახარჯულია 424 ლარი.
- ✓ ოფისის საჭირო საგნების შესაძენად გაიხარჯა სულ 169604,12 ლარი.
- ✓ კვების ხარჯების მუხლით გაწეულია 140775,83 ლარი.
- ✓ სამედიცინო ხარჯების მუხლით გაწეულია 399,98 ლარი.
- ✓ რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენაზე გახარჯულ იქნა 9011 ლარი.
- ✓ ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვაზე დაიხარჯა 7769,3 ლარი.
- ✓ სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 7645 ლარი.
- ✓ სოციალურ დაზღვევაზე გაიცა 11511 ლარი.
- ✓ სხვა მიმდინარე ხარჯი 7317,92 ლარი.
- ✓ არა ფინანსური აქტივების ზრდისათვის გაიხარჯა 9247,11 ლარი.

ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2019 წლის 27 დეკემბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №10 დადგენილებით, რომლითაც ბიუჯეტი განისაზღვრა 1481460 ლარით, რაც 2019 წლის ბიუჯეტთან შედარებით 84380 ლარითაა გაზრდილი.

ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ის საკასო ხარჯმა 2020 წელს, შეადგინა 1205832,81 ლარი, რაც საწყისი დამტკიცებული ბიუჯეტის 81,39%-ია, საკასო ხარჯი 2020 წელს 2019 წელთან შედარებით 150544,87 ლარით შემცირდა, შესაბამისად 2020 წლისათვის აუთვისებელი თანხა 275627,19 ლარი დარჩა, რაც გამოწვეული იყო კოვიდ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებით.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

თანამდებობრივი სარგოს მუხლით საკასო შესრულებამ შეადგინა 934849.24

- ✓ ლარი.
- ✓ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებამ შეადგინა 29123.08 ლარი.
- ✓ მივლინებების მუხლით დახარჯულია 139 ლარი.
- ✓ ოფისის საჭირო საგნების შესაძენად გაიხარჯა სულ 93585.47 ლარი.
- ✓ კვების ხარჯების მუხლით გაწეულია 107323.2 ლარი.
- ✓ სამედიცინო ხარჯების მუხლით გაწეულია 2304 ლარი.
- ✓ რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენაზე გახარჯულ იქნა 4272 ლარი.
- ✓ ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვაზე დაიხარჯა 5645.45 ლარი.
- ✓ სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 6418 ლარი.

- ✓ სოციალურ დაზღვევაზე გაიცა 6713 ლარი.
- ✓ სხვა მიმდინარე ხარჯი 5200.37 ლარი.
- ✓ არა ფინანსური აქტივების ზრდისათვის გაიხარჯა 10260 ლარი.

პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის აუდიტი

მონიტორინგით დადგინდა, რომ მოსაწესრიგებელია საბუღალტრო დოკუმენტაცია, რადგანაც იგი ვერ პასუხობს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების მე-5 მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნებს, რომელიც გულისხმობს თვის გასვლის შემდეგ ყველა მემორიალური ორდერის შესაბამის დოკუმენტებთან ერთად დალაგებას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და აკინძვას, ყდაზე უნდა დაეწეროს ორგანიზაციის სრული დასახელება, საანგარიშგებო პერიოდი (წელი და თვე), მემორიალური ორდერის საწყისი და საბოლოო ნომრები.

ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ის ბალანსზე რიცხული აქტივები 2020 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 639322,86 ლარს. ამასთან ჩატარებული ინვენტარიზაციის მიუხედავად 8 ბაგა-ბაღის შენობა-ნაგებობა ჯერ კიდევ მუნიციპალიტეტის, მერიის ბალანსიდან ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ზე გადაცემული არ არის, კერძოდ: ქედის №2, დოლოგნის, ვაიოს, ახოს, დანდალოს, ნამლისევის, ოქტომბრისა და წონიარისის ბაგა-ბაღის შენობები თავისი საბალანსო ღირებულებით.

აღნიშნულ ბაგა-ბაღების საქმიანობაზე გახარჯულია ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ის თანხები, რომელიც ნიშნავს იმას, რომ ბაგა-ბაღების გაერთიანების დაქვემდებარებაში არ არის ობიექტი და ხარჯავს თანხას, რაც დიდი რისკის შემცველია.

რეკომენდაცია

-მკაცრად დაიცვას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების მე-5 მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნები, კერძოდ: თვის გასვლის შემდეგ ყველა მემორიალური ორდერის შესაბამის დოკუმენტებთან ერთად დალაგება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და აკინძვა, ყდაზე უნდა დაეწეროს ორგანიზაციის სრული დასახელება, საანგარიშგებო პერიოდი (წელი და თვე), მემორიალური ორდერის საწყისი და საბოლოო ნომრები.

-მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის, ქონების მართვის განყოფილებამ (ს. ბოლქვაძე, თ. ბერიძე) ყოველგვარი წესების დაცვით, მ/წლის 1 სექტემბრამდე განახორციელოს დაბა ქედის №2, დოლოგნის, ვაიოს, ახოს, დანდალოს, ნამლისევის, ოქტომბრისა და წონიარისის ბაგა-ბაღების მუნიციპალიტეტის ბალანსიდან მოხსნისა და ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების ბალანსზე გადაცემა.

2019-2020 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

2019 წელს ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ მიერ დადებულია 79 ხელშეკრულება 379097,45 ლარზე, საიდანაც 58 ხელშეკრულება დადებულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გზით 115488,27 ლარზე, 15 ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის გზით 199860,04 ლარზე, ექვსი ხელშეკრულება კონსოლიდირებული ტენდერის გზით 63749,14 ლარზე. იხილეთ დანართი №1

ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ის მიერ 2019 წელში დადებული ხელშეკრულებების შესახებ დანართი №1

შესყიდვის საგანი	NAT/SPA	გაფორმებულია ხელშეკრულება		საერთო შესრულება (ფორმა#2)
		მიმწოდებელი	ხელშეკრულების ღირებულება	
დიზელის საწვავი	CON170000071	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"	11430	1,589.00
დასუფთავების მოსაკრებელი	CON170000071	ქედის მუნიციპალიტეტის მერია	1,244.24	1,244.24
სატ. მომსახურება	CMR180068551	შპს „მაგთიკომი“	8900	8,797.11
ინტერნეტმოსახურებები	CMR180051111	შპს „მაგთიკომი“	1950	300.00
დაზღვევის მომსახურება	CMR180136313	შ.პ.ს. "არდი"	8650	3,565.94
ელ. ენერგიის მომსახურება	CON170000071	ს.ს "ენერგო პრო ჯორჯია"	50000	46,927.90
საჩუქრები (საბაზალწლო ტბილული)	CMR180182771	შ.პ.ს. "ჯიჯო 13"	6298	6,298.00
კვების პროდუქტები	NAT180020203	შ.პ.ს. "მთის ხარისხი"	40349.50	30,933.31
კვების პროდუქტები	CMR180182773	შ.პ.ს. "მთის ხარისხი"	9800	7,664.00
კვების პროდუქტები	NAT180020555	ი.მ. "ჯუმბერ აბაშიძე"	7750	5,874.94
საწვავი	CMR190015771	შ.პ.ს. "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"	13980	12,771.00
კვების პროდუქტები	CMR190017258	ი.მ. "ჯუმბერ აბაშიძე"	4213	3,809.13
კვების პროდუქტები	CMR190018919	ი.მ. "ჯუმბერ აბაშიძე"	3300	1,700.16
კვების პროდუქტები	CMR190017227	ი.მ. "ჯუმბერ აბაშიძე"	4080	3,051.60
გათბობის რადიატორი	CMR190018977	შ.პ.ს. თერმოინდუსტრია	300	300.00
კვების პროდუქტები	NAT180020553	შ.პ.ს. ჯი აისი ჯორჯია	78312	58,850.47
სადეზინფექციო ხსნარები	CMR190031375	შ.პ.ს. "შერეასი"	1350	1,350.00
გაზი	NAT190000279	შ.პ.ს. აჭარინვესტი	7595	6,878.90
კვების პროდუქტები	NAT190000025	შ.პ.ს. "ალეკო"	44444	33,376.31
საფოსტო მომსახურება	CMR190031436	ს.ს. საქართველოს ფოსტა	400	124.80

საწვავი (ბენზინი)	CMR190032694	შ.პ.ს. "სოკარ ჯორჯია პეტროლიუმ"	1800	1,800.00
ტრანსპორტით მომსახურება	CMR190037541	ფ.პ. ზაზა აბაშიძე	630	630.00
ინტ. მომსახურება	CMR190037592	შ.პ.ს. "მაქთიკომი"	1800	1,350.00
საკანცელარიო საქონელი	CMR190040779	შ.პ.ს. "E 2010"	7783	7,576.00
კატრიჯები	CMR190040790	შ.პ.ს. "ორგსერვისი"	1740	1,740.00
კომპიუტერის შეკეთება	CMR190046924	შ.პ.ს. "ივიჯი"	290	290.00
ელ. ენერგიის აპარატ. შესყიდვა	CMR190048713	შ.პ.ს. "მინია"	505	505.00
სანიტ. ჰიგიენური საქონელი	CMR190048734	ი.მ. რევაზ გვარიშვილი	9339	9,339.00
კვების პროდუქტები	CMR190058072	ი.მ. ავთანდილ შოთაძე	3023	1,980.73
გათბობის აპარატის შეკეთება	CMR190058087	ფ.პ. "სერგო გოგიშვილი"	1000	1,000.00
რბილი ინვენტარი	NAT190003610	შ.პ.ს. "მარუ ჯგუფი"	1305	1,305.00
ლაბორატორიული შემოწმება	CMR190068609	ს.ს.ს.პ. ლაბორატორიული კვლევის ცენტრი	1347	1,347.00
კვების პროდუქტები	NAT190002777	ი.მ. ავთანდილ შოთაძე	22599.60	12,646.11
ქსოვილის ნივთები	NAT190008899	ი.მ. ნათია კუჭუხიძე	4881	4,881.00
ხაბეჭდი ქაღალდი	CMR190075017	შ.პ.ს. "პენსან ჯორჯია"	1105	1,062.50
საწვავი	CMR190074926	შ.პ.ს. "სოკარ ჯორჯია პეტროლიუმ"	2220	2,220.00
ავეჯის აქსესუარები	NAT190005846	შ.პ.ს. "ჯეოტენდი"	7292	7,292.00
მცირეფასიანი საქონელი	CMR190086842	შ.პ.ს. "ნიკა+"	1824	1,823.90
სარემონტო სამუშაოები	CMR190088366	ი.მ. "ავთანდილ სანიკიძე"	3975	3,974.61
სპეც. ტანსაცმელი	CMR190092945	შ.პ.ს. "უნიფორმა პლუსი"	4130	4,130.00
საწვავი	CMR190101180	შ.პ.ს. "სოკარ ჯორჯია პეტროლიუმ"	3937.5	2,664.30
საქარი მინის შეცვლა	CMR190098990	შ.პ.ს. "ნენია"	250	250.00
საოჯახო ტექნიკა	NAT190008876	შ.პ.ს. "ტექნოპლუსი"	13909	13,909.00
ტექ. დათვალიერების მომსახურება	CMR190102545	ს.ს. "გრინვეი საქართველო"	60	0.00
ავეჯის შესყიდვა	NAT190009919	ი.მ. "ვეფხია სამხარაძე"	17705	17,705.00
მცირეფასიანი საქონელი	CMR190116037	შ.პ.ს. მიგა +	450	450.00
საკანცელარიო საქონელი	CMR190116039	შ.პ.ს. "კანცელარიის სახლი"	64	64.00
კომპიუტერის შეკეთება	CMR190116045	შ.პ.ს. "ივიჯი"	555	555.00
ავტოტექმომსახურება	CMR190117490	შ.პ.ს. მიგა +	115	115.00
სადაზღვევო მომსახურება	CMR190130582	ს.ს. "არდი დაზღვევა"	4875	1,360.00
ავტოტექმომსახურება	CMR190136516	შ.პ.ს. მიგა +	80	80.00
კომპიუტერის შეკეთება	CMR190136518	შ.პ.ს. "ივიჯი"	35	35.00
სათამაშოები	CMR190140397	შ.პ.ს. "ბანანა ზუმ"	4709	4,709.00
ავტოტექმომსახურება	CMR190145149	შ.პ.ს. მიგა +	300	300.00
წყლის ავზი	CMR190148770	შ.პ.ს. "ლუკა 2018"	480	480.00
საბავშვო ლიტერატურა	CMR190151604	შ.პ.ს. "მეითხველი ქუთაისი"	975	975.00
მცირეფასიანი საქონელი	CMR190160758	შ.პ.ს. მიგა +	1749.3	1,749.60

საკანცელარიო საქონელი	CMR190160769	შ.პ.ს. "E 2010	228	227.80
კომპიუტერის შეკეთება	CMR190160774	შ.პ.ს. "ივიჯი"	193	193.00
მიკროფონები და დინამიკების შესყიდვა	CMR190160776	შ.პ.ს. "ორგსვისი 2011"	1300	1,300.00
საწვავი	CON180000034	შ.პ.ს. "სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი"	17010	13,608.00
კომპიუტერის ტექნიკის შეძენა მოწოდება	CMR190167021	შ.პ.ს. "ივიჯი"	485	485.00
მცირეფასიანი, ელ. საქონელი	CMR190170993	შ.პ.ს. "მინია"	1242	1,242.00
გათბობის რადიატორი და ბოილერები	CMR190170995	შ.პ.ს. "ბი ემ სი გორგია"	1767	1,767.11
პირველადი მდგომარეობის და მასალები	CMR190170998	ი.მ. "ედუარდ ჯაყელი"	400	399.98
საწვავის ტრანსპორტირება	CMR190171001	ფ.პ. "ზაზა აბაშიძე"	750	750.00
გათბობის აპარატის შეკეთება	CMR190172573	ფ.პ. "სერგო გოგიშვილი"	750	750.00
წყლის გამაგებელბლის შეკეთება	CMR190172578	შ.პ.ს. მიგა "	130	130.00
საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურება	CMR190173439	ფ.პ. "რეზი ქობულაძე"	1500	1,500.00
მცირეფასიანი, ელ. საქონელი	CMR190189710	შ.პ.ს. "მინია"	580	580.00
სატელეფონი მომსახურება	CON170000115	შ.პ.ს. მაქსიკომი"	2400	0.00
გათბობის აპარატის შეკეთება	CMR190190935	ფ.პ. "სერგო გოგიშვილი"	730	730.00
მიმდინარე რემონტი	CMR190195405	შ.პ.ს. "ველა"	270	270.00
საჩუქრები (საბაზალლო ტკბილეული)	NAT190023828	შ.პ.ს. "აჭარა"	6208	6,208.00
საბურავები	CON1900000425	შ.პ.ს. თეგეტა მოტორსი"	380	380.00
მცირეფასიანი საქონელი	CMR190203037	შ.პ.ს. მიგა +"	876	876.00
საკვები პროდუქტი	NAT190024314	შ.პ.ს. "ალეკო"	5899	0.00
საკვები პროდუქტი	NAT190024341	ი.მ. "რამაზ შავაძე"	57876	0.00
საკვები პროდუქტი	NAT190024303	შ.პ.ს. "ალეკო"	41411	0.00
				379,097

2020 წელს ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების" მიერ დადებულია 60 ხელშეკრულება 238534,91 ლარზე, საიდანაც 7 ხელშეკრულება დადებულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გზით 118229.96 ლარზე, 40 ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის გზით 87747.06 ლარზე, 13 ხელშეკრულება კონსოლიდირებული ტენდერის გზით 32557.89 ლარზე. იხილეთ დანართი №2-ში 2020 წელს დადებული ხელშეკრულებების თაობაზე.

ა(ა)ი.პ. ქედის ბაგა ბაღების გაერთიანების მიერ 2020 წელში დადებული ხელშეკრულებების შესახებ დანართი №2

შესყიდვის საგანი	NAT/SPA	გაფორმებულია	ხელშეკრულების საბოლოო ფასი	დაფინანსება 2020 წლის
		ხელშეკრულება მიმწოდებელი		
ბენზინი	CON190000601	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"	1326	1,326.00
დიზელი	CON190000597	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"	14220	14,220.00
კვების პროდუქტები	CMR200005680	შპს ალეკო	2316	2,315.74
კვების პროდუქტები	CMR200005783	შპს ალეკო	3300	229.35
კვების პროდუქტები	CMR200005786	შპს ალეკო	3360	460.00
რძის პროდუქტები	CMR200019370	შპს ალეკო	9395	7,486.39
საწვავის ტრანსპორტირება	CMR200010890	ზაზა აბაშიძე	900	900.00
საბეჭდი ქაღალდი	CON190000471	გიორგი კანდელაკი - ვესტა	1334	1,333.50
საკანცელარიო საქონელი	CMR200012615	შპს E-2010	7993	7,993.00
კატრიჯი	CMR200016632	შპს ორგსერვისი	1725	1,725.00
საქართველოს ფოსტა	CMR200029718	შპს საქართველოს ფოსტა	400	16.20
საწვავი	NAT200000182	შპს „აჭარიანეკსტი“	8890	8,890.00
ინტერნეტმომსახურება	CMR200032858	შპს მაგთიკომი	1800	1,800.00
სასუეები და ნიტროგენული ნაერთები	CMR200038207	შპს შერვასი	1725	1,725.00
რძის პროდუქტები	NAT200002049	ავანდილ შოთაძე	63604	63,604.00
საკვები პროდუქტი	NAT200003141	ავანდილ შოთაძე	25900	25,899.70
დიზელის საწვავი	CON190000597	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"	7980	7,980.00
ავტოტექმომსახურება	CMR200047998	შპს ბათავტოტრანსსერვისი	715	715.00
საწმენდი და საპრიაღებელი პროდუქცია	NAT200004579	შპს მა-რუ ჯგუფი	4000	4,000.00
პირადი ჰიგიენის საშუალებები	NAT200004592	შპს მა-რუ ჯგუფი	4000	4,000.00
სატრენინგო მომსახურება	CMR200058121	შპს პროფესიული სწავლების ცენტრი რედლანინი	3000	0.00
ქსოვილის ნივთები	NAT200004711	ლუიზა ჩოგოვაძე	3897	3,897.00
სამედიცინო მოწყობილობები	CMR200066187	შპს ბიომპიანტი ჯორჯია	1600	1,600.00
პოლიეთილენის პარკები	CMR200066471	შპს ზუ-გო	283	0.00
საკვები პროდუქტი	CMR200066473	შპს ავთანდილ შოთაძე	5470	5,469.60
კვების პროდუქტები	CMR200066477	შპს ავთანდილ შოთაძე	11257	11,257.20
კვების პროდუქტები	CMR200066479	შპს ალეკო	4414	4,413.84
კვების პროდუქტები	CMR200066750	შპს ალეკო	2544	2,544.00

კვების პროდუქტები	CMR200066751	შპს ალექო	2099	2,098.80
ბენზინი	CON190000601	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლუმ"	952	952.00
სერთიფიკატის ბეჭდვა	CMR200079016	შპს პოლიგრაფ-სერვისი	105	105.00
ინტერნეტმომსახურება	CMR200079020	შპს ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრი	814	814.00
სადაზღვევო და საპენსიომომსახურება	CMR200088099	შპს არდი დაზღვევა	4875	4,875.00
მცირეფასიანი საქონელი	CMR200094555	შპს მეგა+	1676	1,675.60
კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები	CMR200103533	შპს ივიჯი	225	225.00
ელ. ტექნიკა	CMR200103540	შპს მინია	285	285.15
ბენზინი	CON190000601	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლუმ"	1049.27	1,049.27
ლიტერატურა	CMR200109325	შპს ბიბლუსი	600	599.70
აკუმულატორი	CMR200109330	ედუარდ დემურაძე	230	230.00
სამედიცინო მოწყობილობები	CON200000178	შპს გოლდმედი	376	376.00
თერმომეტრი	CMR200112484	მიხეილ წულუკიძე	1770	1,770.00
სადუზინფექციო საშუალებები	CMR200114247	შპს შერვასი	1350	1,350.00
კონტეინერები და დისპენსერები	CMR200116618	ისააკ ნინიძე	2325	2,325.00
სპეციალური ტანსაცმელი	CMR200117013	შპს უნიფორმაპლუსი	2400	2,400.00
მცირეფასიანი საქონელი	CMR200117019	შპს მა-რი ჯგუფი	2970	2,970.00
ავჯი	CMR200117021	გოჩა თურმანიძე	1050	1,050.00
კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები	CON190000758	შპს იუჯითი	2288	2,288.00
კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები	CON200000063	შპს იუჯითი	1290	1,290.00
საოფისე მანქანა დანადგარები	CON200000063	შპს იუჯითი	192	192.00
კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები	CON190000603	შპს იუჯითი	1119	1,119.00
შეშა	CMR200130386	რეზი ქობულაძე	3500	3,500.00
სამედიცინო მოწყობილობები	CON200000230	შპს გოლდმედი	158	158.00
ოპტიკური ხელსაწყო	CMR200136016	შპს ივიჯი	1863	1,863.00
ბენზინი	CON190000601	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლუმ"	274	274.12
სამშენებლო-სამინტაჟო სამუშაოები	CMR200149369	შპს ტასო	4110	4,110.19
საკვები პროდუქტი	CMR200149371	ზებურ თედორაძე	1900	1,899.50
საკვები პროდუქტი	CMR200149380	ზებურ თედორაძე	2162	2,161.50
პოლიეთილენის პარკები	CMR200149395	შპს ზუ-გო	419	419.00
მცირეფასიანი საქონელი	CMR200149405	შპს მეგა+	370	370.30
საახალწლო ტკბილეული	NAT200018640	შპს „აჭარა“	7939.26	7,939.26
				238,534.91

დიზელის საწვავის ხარჯვის მონიტორინგი

არსებული ბაგა-ბაღების 40 პროცენტში (ანუ ექვს ბაგა-ბაღში) საწვავად გამოიყენება დიზელის საწვავი. მონიტორინგით დადგინდა, რომ 2019-2020 წელს დ. ქედის №1, ზუნდაგის, მერისის, წონიარისის, ცხმორისისა და ხარაულის ბაგა-ბაღებში გათბობისათვის სულ გახარჯული იქნა 50071 ლარის ღირებულების დიზელის საწვავი, რაც წინა ორი წლის ჯამურ მაჩვენებლებთან შედარებით გაზრდილია 69,45 პროცენტით. აღნიშნულ ბაგა-ბაღებში გათბობა ხდება გათბობის აპარატებით, რომელთა ყოველწლიური საწვავის მოხმარების ოდენობა მატულობს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოწვეული ექსპერტების მეშვეობით დადგინდეს აპარატების საათობრივი წვის ნორმა და ნორმაზე მეტი მოხმარების შემთხვევაში ხელმძღვანელობამ იზრუნოს აპარატების ახლით შეცვლისათვის. ამასთან მოწვეული სპეციალისტების ერთად დაადგინოს გამათბობლის საათობრივი წვის ნორმა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ დასახელებულ ბაგა-ბაღებში დიზელის საწვავს ინახავენ დაუდგენელი ზომის ჭურჭლებში და ყოველთვიურად ვერ ახდენენ საწვავის ნაშთების დადგენას, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის მოთხოვნებს“, რომელიც ავალდებულებს ყოველთვიურად საწვავის ინვენტარიზაციის ჩატარების აუცილებლობას.

ასევე ორგანიზაციას ყავს ავტომანქანა „ჰონდა ცერვე“ რომელიც ყოველთვიურად ლიმიტის ფარგლებში მოიხმარს 200 ლიტრ ბენზინის, მაგრამ ხელმძღვანელობისაგან დოკუმენტურად ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია თუ რა სამუშაოების შესასრულებლად იყენებს ორგანიზაცია ავტომანქანას და არ აქვთ დადგენილი 100 კმ-ზე რამდენს მოიხმარს საწვავს, ამასთან რეკომენდირებულია საწვავის ჩამოწერა ხდებოდეს გარბენილი კმ.-ის მიხედვით, საგზურების გამოყენებით.

რეკომენდაცია

- ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ის სტრუქტურულ ერთეულებში დამონტაჟებული გამათბობლების წვის ნორმის დასადგენად ზამთრის პერიოდის დადგომამდე მოიწვიოს ექსპერტები და დაადგინოს გამათბობლის საათობრივი წვის ნორმა.

- ყოველთვიურად მოახდინონ საწვავის (ბენზინი, სალიარის) ინვენტარიზაცია.

- ავტომანქანის საწვავის ხარჯვის დასადგენად კომისიური წესით დაადგინოს ავტომანქანის 100 -კმ. -ზე გარბენისას საწვავის წვის ნორმა და საგზურების გამოყენებით გარბენილი კილომეტრების საშუალებით მოახდინოს საწვავის ხარჯვა.

2.3 კვების ხარჯების მონიტორინგი

მონიტორინგით დადგინდა, რომ 2020 წელს აღსაზრდელების გამოკვებისათვის დახარჯული იქნა 107911,39 ლარი, რაც 2019 წლის მაჩვენებელს 55735,18 ლარით ჩამორჩება, აღნიშნული გამოწვეულია „კოვიდ პანდემიის“ რეგულაციებიდან გამომდინარე. (შეწყდა ბაგა-ბაღების ფუნქციონირება ცხრა თვით).

2020 წელს COVID პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო ბაგა-ბაღის ხელმძღვანელობამ ორ შემთხვევაში ბავშვების კუთვნილი საკვები ნატურალური ფორმით გაანაწილა აღსაზრდელების ოჯახებში. რასაც მშობლების უკმაყოფილება არ გამოუწვევია, რაც მტკიცდება აღსაზრდელების მშობლებთან გასაუბრებით.

2019 წელს ერთი ბავშვის გამოკვებაზე დღიურად დაიხარჯა 1,95 ლარი, ხოლო 2020 წელს აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა 0,2 ლარით და 2,15 ლარი შეადგინა, რაც გამოწვეულია საკვებ პროდუქტზე ფასების ზრდით.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ბაგა-ბაღების გაერთიანების ექიმ-დიეტოლოგის მიერ ხდება საკვების კალორიულობის გაანგარიშება, შესაბამისად ბაგა-ბაღებისათვის დგინდება ყოველდღიური მენიუ, რომელიც მტკიცდება ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის მიერ და იგზავნება ბაგა-ბაღებში შესასრულებლად. მონიტორინგით დადგინდა, რომ ყოველდღიურად ბავშვის გამოკვებისათვის იხარჯება 1200-1250 კილო კალორია საკვები, რაც ნორმის ფარგლებშია.

2.4 ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ის საშტატო პოლიტიკა

ბაგა-ბაღების გაერთიანება შედგება ბაგა-ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციისა და 15 სტრუქტურული ერთეულებისაგან. 2019 წელს ბაგა-ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციის შემადგენლობაში დამტკიცებული იყო 19 საშტატო ერთეული და მუშაობდა 22 თანამშრომელი, კერძოდ:

#	სახელი გვარი	საშტატო ერთეული	თანამდებობა
1	აიშე თეზიძე	1	დირექტორი
2	თენგიზ ტაკიძე	1	დირექტორის მოადგილე
3	ირემაძე მაია	1	მეთოდისტი
4	ზაირა გოგიტიძე	1	მეთოდისტი
5	ნანი მახარაძე	1	ლოგოპედი
6	თამილა დევაძე	1	ლოგოპედი
7	ინეზა ლოლობერიძე	1	ლოგოპედი
8	ნათია შამანაძე	0,5	ლოგოპედი
9	ია ბალაძე	0,5	ლოგოპედი

10	თამარ ბერიძე	0,5	ლოგოპედი
11	ნათია ტვილდიანი	0,5	ლოგოპედი
12	ლამზირა მანველიძე	0,5	ლოგოპედი
13	ინეზა გოგუაძე	1	ფსიქოლოგი
14	ნინო ზარამიძე	1	ფსიქოლოგი
15	ნინო დიასამიძე	1	ფსიქოლოგი
16	დარეჯან მალაყმაძე	0,5	ფსიქოლოგი
17	რამინ დიასამიძე	1	მთავარი ბუღალტერი
18	ნარგიზ კონცელიძე-გოგიტიძე	1	ბუღალტერი
19	გოგიტიძე არჩილ	1	მატერიალურად პასუხისმგებელი პირი
20	გოგიტიძე ნატო	1	საქმისმწარმოებელი
21	დიასამიძე ირმა	1	ლაბორანტი
22	ნაზიბროლა დუმბაძე	1	იურისტი

ბაგა-ბაღების გაერთიანებაში 2019 წელს ბრძანებით დამტკიცებული იყო სულ 216,5 საშტატო ერთეული, ხოლო რეალურად შტატების გაყოფის ხარჯზე მუშაობდა 251 თანამშრომელი, მათ შორის 5 თანამშრომელი იყო ხელშეკრულებით აყვანილი. 2020 წელს ასევე დამტკიცებული იყო 210 საშტატო ერთეული, რაც წინა წელთან შედარებით ნაკლებია 6,5 საშტატო ერთეულით, თუმცა შტატების გაყოფის გამო რეალურად მუშაობდა 261 თანამშრომელი, წინა წელთან შედარებით 9 ერთეულით მეტი, მათ შორის ექვსი თანამშრომელი ხელშეკრულებით იყო აყვანილი. დამტკიცებულ საშტატო ნუსხასა და რეალურად მომუშავეთა რაოდენობას შორის სხვაობა გამოწვეული იყო იმით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ერთი შტატი გაყოფილია ორად.

251 თანამშრომელი ემსახურება 654 ბავშვის მოვლასა და აღზრდას. სტრუქტურული ერთეულები, საშტატო ნუსხა და რეგისტრირებულ ბავშვთა რაოდენობა შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

- ▶ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში საშტატო ნუსხით დამტკიცებულია 19 თანამშრომელი, ფაქტიურად მუშაობს 22 თანამშრომელი.
- ▶ დაბა ქედის №1 ბაგა-ბაღში საშტატო ნუსხით დამტკიცებულია 21 ერთეული, ფაქტიურად მუშაობს 21 თანამშრომელი და რეგისტრირებულია 113 ბავშვი.
- ▶ დაბა ქედის №2 ბაგა-ბაღში საშტატო ნუსხით დამტკიცებულია 16 ერთეული, ფაქტიურად მუშაობს 17 თანამშრომელი და რეგისტრირებულია 83 ბავშვი.
- ▶ დოლოგნის ბაგა-ბაღში საშტატო ნუსხით დამტკიცებულია 12,5 ერთეული, ფაქტიურად მუშაობს 14 თანამშრომელი და რეგისტრირებულია 44 ბავშვი.

- ▶ ზუნდაგას ბაგა-ბაღში საშტატო ნუსხით დამტკიცებულია 13 ერთეული, ფაქტიურად მუშაობს 14 თანამშრომელი და რეგისტრირებულია 42 ბავშვი.
- ▶ მახუნცეთის ბაგა-ბაღში საშტატო ნუსხით დამტკიცებულია 15 ერთეული, ფაქტიურად მუშაობს 16 თანამშრომელი და რეგისტრირებულია 36 ბავშვი.
- ▶ პირველმაისის ბაგა-ბაღში საშტატო ნუსხით დამტკიცებულია 12,5 ერთეული, ფაქტიურად მუშაობს 13 თანამშრომელი და რეგისტრირებულია 52 ბავშვი.
- ▶ მერისის ბაგა-ბაღში საშტატო ნუსხით დამტკიცებულია 12 ერთეული, ფაქტიურად მუშაობს 17 თანამშრომელი და რეგისტრირებულია 26 ბავშვი.
- ▶ ოქტომბრის ბაგა-ბაღში საშტატო ნუსხით დამტკიცებულია 13 ერთეული, ფაქტიურად მუშაობს 14 თანამშრომელი და რეგისტრირებულია 23 ბავშვი.
- ▶ წონიარისის ბაგა-ბაღში საშტატო ნუსხით დამტკიცებულია 11 ერთეული, ფაქტიურად მუშაობს 13 თანამშრომელი და რეგისტრირებულია 41 ბავშვი.
- ▶ ვაიოს ბაგა-ბაღში საშტატო ნუსხით დამტკიცებულია 12,5 ერთეული, ფაქტიურად მუშაობს 16 თანამშრომელი და რეგისტრირებულია 34 ბავშვი.
- ▶ ახოს ბაგა-ბაღში საშტატო ნუსხით დამტკიცებულია 15 ერთეული, ფაქტიურად მუშაობს 18 თანამშრომელი და რეგისტრირებულია 52 ბავშვი.
- ▶ ცხმორისის ბაგა-ბაღში საშტატო ნუსხით დამტკიცებულია 11 ერთეული, ფაქტიურად მუშაობს 13 თანამშრომელი და რეგისტრირებულია 28 ბავშვი.
- ▶ დანდალოს ბაგა-ბაღში საშტატო ნუსხით დამტკიცებულია 12 ერთეული, ფაქტიურად მუშაობს 16 თანამშრომელი და რეგისტრირებულია 36 ბავშვი.
- ▶ ხარაულის ბაგა-ბაღში საშტატო ნუსხით დამტკიცებულია 11 ერთეული, ფაქტიურად მუშაობს 16 თანამშრომელი და რეგისტრირებულია 27 ბავშვი.
- ▶ ნამლისევის ბაგა-ბაღში საშტატო ნუსხით დამტკიცებულია 10 ერთეული, ფაქტიურად მუშაობს 11 თანამშრომელი და რეგისტრირებულია 17 ბავშვი.

მიზანშეწონილია შტატების გამთლიანება, რადგანაც ბაგა-ბაღებში დასაქმებულები ისედაც დაბალ ხელფასს ღებულობენ (საშუალოდ თვეში 270 ლარს) და მისი დანაწევრება (შტატების გაყოფა) კი დასაქმებულებში უკმაყოფილებას იწვევს.

ბაგა-ბაღებში უნდა დასაქმდეს უმაღლესი განათლებით პედაგოგები (სადაც სპეციალისტების ნაკლებობაა უნდა მოხდეს პედაგოგების გადამზადება). 2020 წელს „ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს ბიუჯეტით გათვალისწინებული ქონდა სატრენინგო მომსახურებისათვის სამიათასი ლარი, აღნიშნული მომსახურებაზე გაფორმებული იყო შპს „პროფესიული სწავლების ცენტრი „რედლაინი“-თან ხელშეკრულება, მაგრამ გამოყოფილი თანხა არ დახარჯულა და არცერთი მუშაკი არ გადამზადდა.

რეკომენდაცია

ბაგა-ბაღების გაერთიანებამ (დირექტორი აიშე თეზიძე) იზრუნოს შტატების გამთლიანებისათვის და შემდგომში არ მოახდინოს შტატების გაყოფა. განხორციელდეს ბაგა-ბაღებში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგებში ჩართვა.

3. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელს დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვების მიმდინარეობის აუდიტი.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულია ეკონომიკური განვითარების სამსახური, რომელიც შედგება ორი მეორადი სტრუქტურული განყოფილებისაგან, კერძოდ:

- ა) შესყიდვების განყოფილება;
- ბ) ქონების მართვის განყოფილება;

ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია შესყიდვების სატენდერო კომისია და აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს ტენდერის გამოცხადების ორგანიზებას.

სახელმწიფო შესყიდვებზე ტენდერების განხორციელება ხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ვებგვერდის (procurement.gov.ge) საშუალებით.

აუდიტის მიგნება

სახელმწიფო შესყიდვების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისამდე გამოცხადებულია სულ 101 ტენდერი, მათ შორის ელექტრონული ტენდერის ფორმით 75 და გამარტივებული შესყიდვის ფორმით 26.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისამდე გამოცხადებული ელექტრონულ ტენდერების შესახებ მონაცემები იხილეთ დანართ №1-ში.

მონაცემებიდან ჩანს, რომ ელექტრონული ტენდერის საშუალებით სულ გამოცხადებულია 7097888 ლარის საქონელის, სამუშაოსა და მომსახურების შესყიდვა, საიდანაც მონიტორინგის პერიოდისათვის გამოცხადებული ტენდერის სტატუსი აქვს 16 ელექტრონულ ტენდერს 2406050 ლარზე, ცხრა შემთხვევაში არ შედგა გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი ღირებულებით 957153 ლარზე, დასრულდა უარყოფითი შედეგით 11 ელექტრონული ტენდერი ღირებულებით 981749 ლარის, მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება 3 შემთხვევაში 83013 ლარზე, ხოლო ხელშეკრულება დადებულია 36 შემთხვევაში 2663423 ლარის ღირებულებით.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ტენდერით შესასყიდ ძირითად საქონელს წარმოადგენს ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისათვის გასაწევი ხარჯები, აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში, შესრულებულია და სრულდება გზების, შენობა-ნაგებობების მშენებლობის, წყლის სისტემის რეაბილიტაციის და სხვა კეთილმოწყობითი სამუშაოები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მიზანია სახელმწიფო შესყიდვების განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა. სატენდერო კომისიამ, მიმწოდებლების შერჩევა შეფასების პროცესში უნდა იმსჯელოს შეესაბამება თუ არა ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია

სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს. წარმოდგენილი დაზუსტებული სატენდერო დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესახებ. ამავდროულად, სატენდერო კომისია არ ამღევს პრეტენდენტს დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება არ გამოიწვევს არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წლის 15 ივნისს გამოცხადებული იყო სამთო იალაღებზე მგზავრთა გადაყვანის მომსახურების შესყიდვა ღირებულებით 5000 ლარი, სადაც მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა და შემოთავაზებული წინადადების ფასი დააფიქსირა 4949 ლარი. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა, რადგან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ დაზუსტებულ დოკუმენტაციაში აღმოჩენილ იქნა შეცდომა, კერძოდ ფასების ცხრილის №1 პუნქტში „სოფ. ცხმორისი, კოკოტაური-მათა საიჩარი კოკოტაური სოფ. ცხმორისი მარშუტზე მგზავრთა გადაყვანა (138 კმ)“ $8 \times 247 = 1980$ ლარის ნაცვლად უნდა ყოფილიყო 1976 ლარი და №2 პუნქტში „ცენტრი ცხმორისი, დანდალოს ცენტრიგომის მთა-დანდალოს ცენტრი, ცენტრი ცხმორისი მარშუტზე მგზავრთა გადაყვანა (140კმ)“ $12 \times 247 = 2969$ ლარის ნაცვლად უნდა ყოფილიყო 2964 ლარი. მიუხედავად იმისა რომ წინადადების ფასი არ გაზრდილა გაანგარიშების შედეგად სხვაობა იყო 9 ლარი, შედეგად ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით და ივნისის მეორე ნახევრისათვისაც კი ვერ იქნა სამთო იალაღებზე მგზავრთა გადაყვანის ორგანიზება, მაშინ როცა მოსახლეობა ამ პერიოდისათვის მთაში გადასული იყო. სატენდერო კომისიას არ უმსჯელია მათ მიერ აღმოჩენილი შეცდომის არსებითობის თაობაზე.

ასევე საყურადღებოა ხელშეკრულება №33 სოფ. ჩეტკიძეები უსუფ ბერიძის საცხოვრებელ სახლთან რკინა-ბეტონის ქვედა საყრდენი კედლის მოწყობის თაობაზე.

ხელშეკრულება ორმხრივად 2021 წლის 10 მარტს გაფორმდა. ფირმას 9 აპრილამდე უნდა შეესრულებინა I ეტაპის სამუშაოები, მაგრამ უამინდობისა და უსუფ და თამაზ ბერიძეების მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულებაში 15 აპრილს შევიდა ცვლილება. მეორე ცვლილება განხორციელდა მიმდინარე წლის 17 მაისს და ხელშეკრულებით სამუშაოების დასრულების ვადა ნაცვლად 2021 წლის 8 ივნისისა განისაზღვრა 8 ივლისამდე.

ასევე საპროექტო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ხარჯთაღრიცხვისა და განახლებული განფასებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად სახელშეკრულებო ღირებულება ნაცვლად 172999,74 ლარისა განისაზღვრა 108346,89 ლარით და ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2021 წლის 20 აგვისტომდე.

მიუხედავად იმისა რომ მიმდინარე წლის 8 ივლისამდე უნდა დასრულებულიყო სამუშაოები დღემდე ობიექტი დასრულებილი სახით მიმდები კომისიის მიერ ამ დროისათვის მიღებული არ იყო.

პროექტის ღირებულებაში არის შემთხვევები, როცა ხარჯთაღრიცხვა დროის გასვლის შემდეგ საჭიროებს ცვლილებებს საბაზრო ფასებთან შესაბამისობაში მოყვანას.

აღნიშნული შედეგია იმ გარემოებისა რომ ტენდერები რიგ შემთხვევებში დასრულდა უარყოფითი შედეგით.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისამდე გამოცხადებული გამარტივებულ შესყიდვების შესახებ მონაცემები იხილეთ დანართ №2-ში.

მონაცემებიდან ჩანს, რომ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით სულ ხელშეკრულება დადებულია 42889.15 ლარის საქონელის, სამუშაოსა და მომსახურების შესყიდვისათვის, საიდანაც 30 ივლისისათვის ათვისება შეადგენს 9831,24 ლარს, ანუ 22,92 პროცენტს, რაც დაბალი მაჩვენებელია.

ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წელს სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანების „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის და 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანების „შესყიდვის ობიექტის იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე რეგისტრირებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად, რომელიც 2021 წლის გეგმით 5825473 ლარს შეადგენს.

სახელმწიფო შესყიდვების მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა შესყიდვების წლიური და ინდივიდუალური დაგეგმვა, დაგეგმვის პროცესში

პასუხისმგებლობების სწორი გადანაწილება, მიწოდების ბაზრის კვლევა, საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების პროპორციულად განსაზღვრა და სპეციფიკაციების შემუშავება, აღნიშნული ტექნიკური პირობების მომზადებაში ჩართულია მუნიციპალიტეტის მერიის ყველა სამსახური თავიანთი დარგობრივი ფუნქციების შესაბამისად.

არ შემდგარი, შეწყვეტილი ტენდერები და აგრეთვე დისკვალიფიკაციები მიუთითებს, რომ ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების შეფასების მიზნით განსაზღვრული მოთხოვნები უნდა ჩამოაყალიბოს ნათლად, იმისთვის, რომ თავი აარიდოს სადაო საკითხებს, ამ შემთხვევაში ჩნდება დამატებითი კითხვები არა მხოლოდ კომპეტენტური მაკონტროლებელი უწყების მხრიდან, არამედ მნიშვნელოვნად მატულობს სატენდერო კომისიის ამა თუ იმ გადაწყვეტილების გასაჩივრების რისკი, რაც საბოლოო ჯამში შემსყიდველ ორგანიზაციას უხანგრძლივებს შესყიდვის პროცედურებს. შესაბამისად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ სატენდერო დოკუმენტაციით საჭიროა დააკონკრეტოს, იმის გათვალისწინებით, რომ იგი არ უნდა ახდენდეს კონკურენციის უსაფუძვლოდ შეზღუდვებს.

ასევე, კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე ზოგჯერ სრულყოფილად ვერ ტარდება ბაზრის კვლევა.

ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით სოფლის პროგრამაზე გათვალისწინებულია 750000 ლარი, საიდანაც მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დადებულია ოთხი ხელშეკრულება ორი ბეტონის შესყიდვაზე და ორიც გარე განათების შესყიდვაზე, ჯამში ხელშეკრულებების ღირებულება შეადგენს 630203,66 ლარს და ეკონომია სოფლის პროგრამიდან დარჩა 119796,34 ლარი, რომლის ათვისებაც დაჩქარებული ტემპით უნდა განხორციელდეს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა (ს.ბოლქვაძე) ერთობლივად მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილებასთან, შესყიდვების სატენდერო კომისიასთან და აპარატთან:

- შეიმუშაოს და დახვეწოს ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია.
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ხელი შეუწყოს თანაბარი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების გასაჩივრების რისკების შემცირებას.
- უზრუნველყოს 2021 წელს დაგეგმილი ქედის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების დროულად განხორციელება.
- მინიმუმადე შეამციროს სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული შეწყვეტილი ტენდერების ოდენობა.

- 4 ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიზნობრივი პროგრამების, კერძოდ: სოციალურად დაუცველი ფენისთვის ერთჯერადი უფასო კვებისა და საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავის შეცვლის მიზნობრივი პროგრამების აუდიტი.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, რომელის სტრუქტურა შედგება სამსახურის უფროსისა და სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელეებისაგან. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელიც წარმართავს სამსახურის საქმიანობას, ხოლო მისი უფლებამოსილებები განისაზღვრება სამსახურის დებულებით და სამსახურის უფროსის სამუშაო აღწერილობით.

აუდიტის მიგნება

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური მიზნობრივი პროგრამების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური 2019-2020 წლებში ახორციელებდა 14 მიზნობრივ პროგრამებს, მათ შორისაა:

- 1) სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა.
- 2) საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა.

მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის მთავარი და ძირითადი პრიორიტეტია. ქედის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველთათვის განკუთვნილია სასადილო დაბა ქედაში, რომელიც ემსახურება აღნიშნული კონტიგენტის 23 ბენეფიციარს უფასო ერთჯერადი ყოველდღიური ცხელი საკვებით. ქვეპროგრამა მოქმედებს 2005 წლიდან. მოსარგებლე პირთა შერჩევა ხდება შემდეგი წესით: აღნიშნულ ქვეპროგრამაში ჩართვაზე უპირატესობა ენიჭებათ მარტოხელებს, მრავალშვილიან ოჯახებს, შშმ პირებს და სოციალურად დაუცველ ოჯახებს. ქვეპროგრამაში კვებით უზრუნველყოფა ხორციელდება ერთჯერადად ყოველდღიურად (წელიწადში 365 დღე) მენიუს შესაბამისად. ბენეფიციართა შერჩევა ხდება 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს შორის, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალი ქულის მქონე მარტოხელა და შშმ ბენეფიციარებს შემოსული განცხადების მიხედვით.

„სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა“-ზე 2019 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 25200 ლარი, ხოლო შესრულებამ შეადგინა 23655 ლარი. 2020 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული იყო 24000 ლარი, ხოლო შესრულებამ შეადგინა 23858 ლარი. 2019 წელს საშუალოდ ერთ ბენეფიციარზე დღიურად კვების პროდუქტებზე დაიხარჯა 2.06 ლარი, ხოლო 2020 წელს საშუალოდ ერთ ბენეფიციარზე დღიურად კვების პროდუქტებზე დაიხარჯა 2,29 ლარი.

მონიტორინგით გაირკვა, რომ 2020 წელს „სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის“ განხორციელებისათვის 2019 წლის 25 დეკემბერს გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც გამარჯვებულად გამოვლინდა ფირმა შპს „არსი-2“, მან ტენდერი მოიგო 24100 ლარად. შპს „არსი-2“ ყოველთვიურად წარმოადგენდა დოკუმენტაციას გაწეული მომსახურების დასასაბუთებლად, რომლის საფუძველზეც მას ერიცხებოდა ბიუჯეტიდან თანხა.

აღნიშნულ პერიოდში რამოდენიმეჯერ ჩატარდა მონიტორინგი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, სადაც მნიშვნელოვან დარღვევებს ადგილი არ ქონია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იყო შემთხვევები, როცა პანდემიის გამო ბენეფიციარები ყოველდღიურად არ ცხადდებოდნენ საკვების მისაღებად. მაშინ, როცა ყველა ბენეფიციარისთვის ყოველდღიურად კეთდება მათზე გამოყოფილი ულუფა, ზოგიერთ შემთხვევაში ბენეფიციარების გამოუცხადებლობის გამო საკვები გაუხარჯავი რჩება. უნდა აღინიშნოს, რომ მომავალი წლისათვის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა მეტი ყურადღება დაუთმოს

სატენდერო მოთხოვნების დაცვას, კერძოდ: ობიექტის ფართის გაფართოებასა და მის კეთილმოწყობას, ასევე საკვების ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

ამასთან უნდა აღინიშნოს 2019 წლის ორ თვეში პანდემიის გამო ბენეფიციარებს საკვებისათვის მათი წილი პროდუქტი გაუნაწილდათ ოჯახებზე და ამ მხრივ მათ პრეტენზია არ გამოუთქვამთ. ასევე, ბენეფიციარებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ კვებასთან დაკავშირებით პრეტენზია არ გააჩნიათ.

გთავაზობთ უფასოდ კვების პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების სახელობით სიას:

#	გვარი სახელი	მისამართი
1	ბერიძე აიშე	რუსთაველის №21
2	ბარამიძე გიორგი	ხუნკუდა
3	ბასილაძე სულიკო	აღმაშენებლის №14
4	ხილაძე მარო	დაბა ქედა
5	გორგაძე მერი	დაბა ქედა რუსთავ ქ
6	ბარამიძე იგორი	რუსთაველის №11
7	დუმბაძე მალხაზი	სოფ. ორცვა
8	აბულაძე დათიკო	ორცვა
9	სალაძე ეთერი	კოლოტაური
10	ჯაბნიზე მზია	დაბა ქედა რუსთ ქ N21
11	თურმანიძე ფატმან	რუსთაველის №19
12	თურმანიძე მარო	რუსთაველის №19
13	სენიკოვა ლიუდმილა	რუსთაველის №17
14	გორგაძე ვახტანგ	წერეთლის №17
15	ბერიძე ახმედ	რუსთაველის №8
16	ჯაბნიძე ნაზი	რუსთაველის №21
17	პარანდი სერგო	26 მაისის №9
18	ირემაძე ინგა	დ. ქედა. 9 აპრილის ქუჩა
19	დუმბაძე სანდრო	ოქტომბერი
20	თეზიძე ადემ	დ. ქედა. 9 აპრილის ქუჩა
21	ჩხუბაძე ჯემალ	სოფ. ჯალაბაშვილები
22	გოჩა ირემაძე	დაბა ქედა 9 აპრილის ქ
23	ნიკო დიასამიძე	დ. ქედა შერვაშიძის ქ

რეკომენდაცია :

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა

- საქმიანობა ისე წარმართოს, რომ კეთილ მოეწყოს ობიექტი და დაცულ იქნას სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა.
- მკაცრად გააკონტროლოს სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებისთვის მომზადებული საკვების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნორმებთან და ბენეფიციარების გამოცხადების ჟურნალში მათ მიერ გაკეთებული ხელწერების უტყუარობა.

„საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნობრივი პროგრამა“

ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრირებულია ათეულობით განცხადება, რომლითაც ითხოვენ სიძველის გამო საცხოვრებელი სახლების სახურავის (თუნუქის) შეცვლასთან დაკავშირებით დახმარებას. აღნიშნული მოქალაქეების უმრავლესობა იმყოფება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და არ გააჩნიათ საშუალება, რომ საკუთარი სახსრებით მოახდინონ საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება. აღნიშნული პრობლემის მოგვარებისათვის 2019 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 28300 ლარის თუნუქის ფურცლის შეძენა, ხოლო 2020 წელს აღნიშნულ პროგრამაზე დამტკიცებული იყო 29900 ლარი, საიდანაც ათვისებამ შესაბამისად 28298 და 28487 ლარი შეადგინა.

2019 წლის 28 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების გზით გაფორმდა №16 ხელშეკრულება ქედის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ოთობმს“-ს შორის. ხელშეკრულების საგანი იყო სახურავისათვის ლითონის ფურცლის შეძენა, შესაძენი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენდა 28297,5 ლარს, რითაც შესაძლებელი იყო 1715 ცალი ლითონის ფურცლის შეძენა. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში 27 თებერვლამდე.

შპს „ოთობმს“-ს მიერ ლითონის ფურცლები მოწოდებულ იქნა 6 მარტს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, რაზეც მომწოდებლის მიერ გადახდილი იქნა მთლიანი თანხის 0,02 პროცენტი ყოველ გადაცილებულ დღეზე, რაც სულ შეადგენდა 39,62 ლარი.

სულ მოწოდებულ იქნა 1715 ცალი ლითონის ფურცელი, რომელიც განაწილდა ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში 35 ოჯახზე, რის თაობაზეც მონაცემები იხილეთ დანართ №1-ში.

მონაცემები 2019 წელს გაცემული ლითონის ფურცლების შესახებ დანართი №1.

მონაცემები 2019 წელს გაცემული ლითონის ფურცლების შესახებ					
№	ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი	სახელი, გვარი	რაოდენობა	ლითონის ფურცლის გამოყენების მდგომარეობა
1	ოქტომბერი	მეძიბნა	ბეჟან დუმბაძე	40	არ დაუხურავს
2		ოქტომბერი	მანანა გორგაძე	40	არ დაუხურავს
3		ოქტომბერი	დავით ასამბაძე	40	არ დაუხურავს
4		ოქტომბერი	ვასაძე მარინა	40	არ დაუხურავს
5		ოქტომბერი	ირაკლი დუმბაძე	50	დაუხურა
6		ოქტომბერი	ლილი შერვაშიძე	40	არ დაუხურავს
7		კუჭულა	რომან ნაკაშიძე	50	არ დაუხურავს
8		მეძიბნა	სურიე დუმბაძე	50	არ დაუხურავს
9	ზვარე	ზვარე	რესიმ გოგიტიძე	70	არ დაუხურავს
10	დანდალო	ტაკიძეები	დავით დიასამიძე	40	დაუხურა
11		დანდალო	არბენაძე ნათელა	50	დაუხურა
12	დოლოგანი	დოლოგანი	ნარგიზ ოსანაძე	50	დაუხურა
13		ჭინკაძეები	თენგიზ თებიძე	40	დაუხურა
14		ჭალახმელა	ნაზი სურმანიძე	40	დაუხურა
15	მახუნცეთი	ნამლისევი	ნანი ნინიძე	50	დაუხურა
16		მილისი	გურამ აბესლაძე	40	დაუხურა
17		უჩხითი	ეთერ ირემაძე-ცინცაძე	50	დაუხურა
18		უჩხითი	მერაბ ჟოჟაძე	40	დაუხურა
19	წონიარისი	ტიბეთა	მალხაზ ხალვაში	133	დაუხურა
20		წონიარისი	მერი ბერიძე	40	დაუხურა
21		საბადური	ემზარ ბერიძე	26	დაუხურა
22	პირველი მაისი	აგარა	ნინა დევაძე	60	არ დაუხურავს
23	დაბა ქედა	აქუცა	ირმა ბერიძე	50	ნაწილობრივ დახურა
24		აქუცა	ნონა გორგილაძე	50	არ დაუხურავს
25		სოფელი ქედა	თინა ბასილაძე	50	არ დაუხურავს
26		დაბა ქედა	სერგეი პარანდი	40	არ დაუხურავს
27	ცხმორისი	ცხმორისი	დურსუნ კონცელიძე	96	დაუხურა
28		გეგელიძეები	თემური დავითაძე	80	დაუხურა
29		ახო	ციცინო ბერიძე	30	დაუხურა
30		კოკოტაური	გია ხალვაში	40	არ დაუხურავს
31	მერისი	მერისი	რამაზ შარაძე	40	დაუხურა
32		სილიბაური	მერაბ ჯიჯავაძე	40	არ დაუხურავს
33		გარეტყე	ზამირა სამნიძე	40	არ დაუხურავს
34		მერისი	ვაჟა შარაძე	40	დაუხურა
35		მერისი	თამარ ლომსაძე	40	დაუხურა
					1715
სულ ჯამი					

უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს 35 ოჯახზე გაცემული იქნა ლითონის ფურცელი, რომელიც 17-მა ოჯახმა გამოიყენა მიზნობრივად, დანარჩენ 18 ოჯახს 770 ცალი ლითონის ფურცელი ჯერ კიდევ არ გამოუყენებია და მათ მიერ საცხოვრებელ სახლში ადგილზე აქვთ დასაწყობებული.

2020 წლის 9 სექტემბერს ლითონის ფურცლების შესაძენად სახელმწიფო შესყიდვების გზით №120 ხელშეკრულება კვლავ გაფორმდა ქედის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ოთობმს“-ს შორის 28486,7 ლარზე. მომწოდებელს ხელშეკრულების შესაბამისად უნდა მოეწოდებინა 1363 ცალი ლითონის ფურცელი, რომლის ერთეულის ღირებულება შეადგენდა 20,90 ლარს. (რაც წინა წლის ერთი ლითონის ფურცლის ღირებულებას 2,07 ლარით აღემატება).

მიღებული ლითონის ფურცლები განაწილდა 28 ოჯახზე საიდანაც დღემდე მიზნობრივად არ გამოუყენებია 18 ოჯახს, ანუ მიცემული ლითონის ფურცლების 64,3 პროცენტს, დახურა 8 ოჯახმა ანუ 28,57 პროცენტმა და დახურვის პროცესში არის ორი ოჯახის სახლის სახურავი.

2019-2020 წლებში აღნიშნული პროგრამით ისარგებლა მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 63-მა ოჯახმა, რომლებმაც ჯამში მიიღეს 3078 ცალი ლითონის ფურცელი. მიღებული ლითონის ფურცლები მიზნობრივად გამოიყენა 25-მა ოჯახმა ანუ 39,68 %-მა. დღემდე დახურული არ აქვს 34 ოჯახს ანუ 53,47 %-ს და სახურავის დახურვის პროცესშია 4 ოჯახი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 34 ოჯახს დღემდე სახლის სახურავი დახურული არ აქვს, ადგილზე მისვლით და მათთან გასაუბრებით მიზეზს ისინი ასახელებენ სახურავის ქვეშ მყოფი ამორტიზირებული მასალისა და ფულადი სახსრების არ ქონას. 2019-2020 წლებში სახლის სახურავის გადასახურად მიღებული ლითონის ფურცლების თაობაზე იხილეთ მონაცემები დანართ №2 ში.

მონაცემები 2020 წელს გაცემული ლითონის ფურცლების შესახებ დანართი №2.

N	ადმინ. ერთეული	სახელი და გვარი	სოფლის დასახ.	რაოდენობა	ლითონის ფურცლის გამოყენების მდგომარეობა
1	ცხმორისი	დათიკო ქარცივაძე	ცხმორისი	40	არ დაუხურავს
2		თემური ანანიძე	ცხმორისი	30	არ დაუხურავს
3		ედუარდ ბოლქვაძე	ახო	45	არ დაუხურავს
4		მამუდ ბოლქვაძე	ახო	45	არ დაუხურავს
5	დანდალო	გენადი ბალაძე	ბალაძეები	55	არ დაუხურავს
6		ცირა დიასამიძე	გოგიაშვილები	58	არ დაუხურავს
7		გია გოგიაშვილი	გოგიაშვილები	50	არ დაუხურავს
8	ზვარე	ჭუჭუნა ქობულაძე	ზვარე	60	არ დაუხურავს
9		შუქრი გათენაძე	კვაშტა	60	არ დაუხურავს

10	პ/მაისი	თამაზ ფარტენაძე	აგარა	60	არ დაუბურავს
11		რევაზ აბულაძე	პ/მაისი	60	არ დაუბურავს
12	მახუნცეთი	მერაბ ნინიძე	ნამლისევი	20	დაუბურა
13		მზია ნინიძე	ქ მახუნცეთი	60	დაუბურა
14		ქეთო თავდგირიძე	ქ მახუნცეთი	20	არ დაუბურავს
15		იაშა კურცხალიძე	მახუნცეთი	60	დაუბურა
16	მერისი	მიქაილ ხალვაში	გუნდაური	60	დაუბურა
17		ილია შარაძე	ინაშარიძეებ	60	არ დაუბურავს
18	წონიარისი	ნატო ჯიჯავაძე	წონიარისი	60	დაბურვის პროცესშია
19		ზურაბ ბერიძე	აბუქეთა	60	დაუბურა
20	ოქტომბერი	ნაზიკო დუმბაძე	მეძიბნა	40	არ დაუბურავს
21		მანანა გორგაძე	ოქტომბერი	40	არ დაუბურავს
22		ელმას ბასილაძე	ოქტომბერი	40	არ დაუბურავს
23	დაბა ქედა	ჯიმშერ აბულაძე	შევაბური	65	არ დაუბურავს
24		მირზა დიასამიძე	ეკნარა	55	დაუბურა
25		ვეფხია ბერიძე	დაბა ქედა	40	არ დაუბურავს
26	დოლოგანი	ამირან სვანიძე	დოლოგანი	40	დაუბურა
27		ნარგიხ ოსანაძე	დოლოგანი	30	დაუბურა
28		რევაზ ოსანაძე	დოლოგანი	50	არ დაუბურავს
				1363	

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა მერის მიერ შექმნილ კომისიასთან ერთად დეტალურად შეისწავლოს კრიტიკულად ავარიული სახლების მდგომარეობა და დააყენონ საკითხი პროგრამაში თანხების გაზრდისთვის, ამასთან საჭიროების შემთხვევაში დაისვას საკითხი სახურავისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები გაცემულ იქნას არამარტო სახურავების თუნუქით უზრუნველყოფისათვის, არამედ სხვა საჭირო მასალების (ხე-ტყის მასალა და ლურსმანი) შეძენისათვის.

2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია ამორტიზირებული სახლების სახურავების შეცვლისათვის 100000 (ასი ათასი) ლარის ლითონის ფურცლის შეძენა, თუმცა ეს თანხა შეიძლება ითქვას, რომ საკმარისი არ იქნება მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, იმდენად რამდენადაც სახელმწიფო შესყიდვების გზით 2021 წელს შეძენილ იქნა 2564 ცალი ლითონის ფურცელი, რომელიც დააკმაყოფილებს საშუალოდ 50 ოჯახს, მაშინ, როცა მიმდინარე წელს 150 ოჯახს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოტანილი აქვს და მათ მიერ გრძელდება განცხადებების შემოსვლა აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა:

- მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილ კომისიასთან ერთად დეტალურად შეისწავლოს კრიტიკულად ავარიული სახლების მდგომარეობა და დასვას საკითხი პროგრამაში თანხების გაზრდისთვის, ამასთან საჭიროების შემთხვევაში დაისვას საკითხი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები გაცემული იქნას არამართო სახურავების თუნუქით უზრუნველყოფისათვის, არამედ სხვა საჭირო მასალების (ხე-ტყის მასალა და ლურსმანი) შეძენისათვის.

5 შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების მიზნობრივი ხარჯვის აუდიტი.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს 2019 წლის საწყისი ბიუჯეტი (არაფინანსური აქტივების ჩათვლით) განისაზღვრა 545000 ლარით, წლის განმავლობაში ორგანიზაციის ბიუჯეტში გაიზარდა და შეადგინა 605800 ლარი.

2019 წელს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს სულ ჩაერიცხა 582483,51 ლარი, ამასთან ორგანიზაციას წლის დასაწყისში ნაშთის სახით „საქართველოს ბანკი“-ს ანგარიშზე ერიცხებოდა 51,37 ლარი, ხოლო „ლიბერთი ბანკი“-ს ანგარიშზე 66 ლარი, წლის განმავლობაში სამეწარმეო საქმიანობიდან, კერძოდ: ტრაქტორის გაქირავებით და ფასიანი საპირფარეშოებიდან მიღებულია შემოსავალი 16305 ლარი, რითაც სულ ფინანსურმა სახსრებმა 2019 წელს შეადგინა 598905,88 ლარი, გაწეულმა ხარჯმა წლის განმავლობაში შეადგინა 587915,96 ლარი, 2019 წლის ბოლოს ორგანიზაციას საბანკო ანგარიშზე ნაშთის სახით ფულადი სახსრები „საქართველოს ბანკი“-ს ანგარიშზე დარჩა 2572,62 ლარი, ხოლო „ლიბერთი ბანკი“-ს ანგარიშზე 8417,3 ლარი.

მუხლობრივ ჭრილში 2019 წლის ბიუჯეტის შესრულება შემდეგნაირი სახით არის წარმოდგენილი:

შრომის ანაზღაურების მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 216000 ლარის ასიგნება, საკასო შესრულებამ შეადგინა 215518 ლარი. კერძოდ:

ადმინისტრაციის თანამშრომლებს ხელფასის სახით წლის განმავლობაში მიღებული აქვთ 201780 ლარის ანაზღაურება, ხოლო ჯილდოს სახით 13738 ლარი.

საქონელი და მომსახურეობის მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 394560 ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 383382 ლარი, ანუ გეგმის 95,16% შეადგინა. კერძოდ:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 40565,21 ლარი.
- სამივლინებო ხარჯმა 305 ლარი შეადგინა.
- საკანცელარიო საქონლის შეძენამ 1052,4 ლარი შეადგინა.
- კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე დაიხარჯა 360 ლარი.
- კავშირგაბმულობის მომსახურებაზე გაიხარჯა 2196,75 ლარი.
- ელექტრო ენერგიის ხარჯმა 84566,18 ლარი შეადგინა.
- ნარჩენების შეტანაზე გაიხარჯა 5220 ლარი.
- შეძენილ იქნა ჯიპ ოპერატორი 716,13 ლარის ღირებულების.
- დეზინფექციის საშუალებებზე გაიხარჯა 1566,66 ლარი.
- სამეურნეო საქონელის შეძენაზე 17818,98 ლარი დაიხარჯა.
- ელექტრო საქონელის შეძენაზე გაიხარჯა 12140,4 ლარი.
- საპირფარეშოების აქსესუარების შეძენაზე გახარჯული იქნა 2597,85 ლარი.
- უნიფორმის შეძენაზე გაიხარჯა 7281 ლარი.
- ცხოველების გაუვნებელყოფისათვის გახარჯულია 4875 ლარი.
- ავტომატქანის სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე გაიხარჯა 36511,4 ლარი.
- ტრანსპორტის საწვავის შეძენისათვის დახარჯულია 136343,95 ლარი.
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლით გაწეულია 10327,52 ლარი.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს 2020 წლის საწყისი ბიუჯეტი (არაფინანსური აქტივების ჩათვლით) განისაზღვრა 634900 ლარით, 2020 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტიში განხორციელებული ცვლილებების შედეგად პირველად განსაზღვრული თანხა 93250 ლარით შემცირდა და 541650 ლარი შეადგინა.

2020 წელს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს სულ ჩაერიცხა 541566 ლარი, ორგანიზაციას წლის დასაწყისში ნაშთის სახით საქართველოს ბანკის ანგარიშზე გააჩნდა 2572,62 ლარი, ხოლო ლიბერთი ბანკის ანგარიშზე 8417,3 ლარი, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული აქვს 6822,5 ლარი, რითაც სულ ფინანსურმა სახსრებმა 2020 წელს შეადგინა 559378,42 ლარი, გაწეულმა ხარჯმა კი 551350,37 ლარი, 2020 წლის ბოლოს ორგანიზაციას ნაშთის სახით ფულადი სახსრები საქართველოს ბანკში დარჩა 1687,18 ლარი, ხოლო ლიბერთი ბანკის ანგარიშზე 6340,87 ლარი.

მუხლობრივ ჭრილში 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება შემდეგნაირი სახით არის წარმოდგენილი:

შრომის ანაზღაურების მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 211800 ლარის ასიგნება, საკასო შესრულებამ შეადგინა 211633 ლარი.

საქონელი და მომსახურების მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 326350 ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 314846 ლარი, ანუ გეგმის 96.47% შეადგინა. კერძოდ:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 46616,15 ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 6050,94 ლარით მეტია.
- სამივლინებო ხარჯმა 45 ლარი შეადგინა.
- საკანცელარიო საქონლის შეძენამ 786,4 ლარი შეადგინა.
- კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე დაიხარჯა 317 ლარი.
- კავშირგაბმულობის მომსახურებაზე გაიხარჯა 2037,81 ლარი.
- გარე განათების ხარჯმა 94539,84 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 9973,66 ლარით მეტია.
- ნარჩენების გატანაზე გახარჯულია 6674 ლარი.
- შეძენილ იქნა ჯიპ ოპერატორი 716,13 ლარის ღირებულების.
- შეძენილ იქნა დეზინფექციის საშუალებები 4570 ლარის.
- ელექტრო საქონელზე გაიხარჯა 17498 ლარი, რაც 2019 წლის დონეს აღემატება 5357,6 ლარით.
- საპირფარეშოების აქსესუარების შეძენაზე გახარჯული იქნა 650 ლარი.
- უნიფორმის შეძენაზე გაიხარჯა 6577 ლარი.
- ცხოველების გაუვნებელყოფისათვის გახარჯულია 4880 ლარი.
- წარმომადგენლობითი ხარჯები შეადგენდა 700 ლარს.
- ავტომანქანის მიმდინარე რემონტზე და სათადარიგო ნაწილებზე გაიხარჯა 36643,1 ლარი.
- ტრანსპორტის საწვავის შეძენისათვის დახარჯულია 87901,38 ლარი. წინა 2019 წელთან შედარებით 48442,57 ლარით ნაკლები დაიხარჯა.
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეულია 15858,44 ლარი.

აუდიტის მიგნება

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს შექმნისა და წესდების დამტკიცების სამართლებრივი საფუძველია - ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 05 სექტემბრის №01-08/96 ბრძანება.

წესდების თანახმად შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს წარმოადგენს:

1. ა) ქუჩების, მოედნების, პარკებისა და სკვერების სანიტარული დასუფთავება;
ბ) დასახლებებში მრავალწლიანი ნარგავების განაშენიანებაზე ზრუნვა და მათი მოვლა-პატრონობა;

გ) ქუჩების, მოედნების, პარკების, სკვერების და ადმინისტრაციული ცენტრების და სოფლების გარე განათების სისტემის კეთილმოწყობა და ექსპლუატაცია.

2.2. საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად, იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

დასკვნა

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს წესდება შედგენილია 2014 წლის 05 სექტემბერს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მუნიციპალიტეტს მერიის ნაცვლად გამგეობა ეწოდებოდა, ამასთან ორგანიზაციის საქმიანობა და სტრუქტურა ნაწილობრივ შეიცვალა და რიგი ფუნქციები დაემატა ან პირიქით შეუმცირდა, კერძოდ ქედის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ახალი შპს „ქედის ტურიზმის ცენტრი“, რომელსაც ფუნქციურად გადაეცა შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ფუნქციების ნაწილი, ყოველივე აღნიშნული საჭიროებს წესდებაში ცვლილებების შეტანას.

რეკომენდაცია

№1 – 2022 წლის 01 თებერვლამდე უზრუნველყოს ორგანიზაციის წესდების პროექტის მომზადება და მუნიციპალიტეტის მერთან წარდგენა მისი დამტკიცების მიზნით.

აუდიტის მიგნება



ორგანიზაციის მიერ საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების მონიტორინგი

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორის 2019 წლის 12 ივლისს №01-02/21 ბრძანებით შექმნილია საინვესტიციო კომისია ხუთი კაცის შემადგენლობით: კომისიის თავჯდომარე ვაჟა ბალაძე შ.პ.ს. „ქედის კომუნალურ სერვისი“-ს დირექტორის მოადგილე, კომისიის მოადგილედ ზაალი ბერიძე, ხოლო წევრებად მურმან სურმანიძე, ნესტან ბერიძე და ლევან ნაკაშიძე.

2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო კომისიის მიერ შექმნილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს აქვს საწესდებო კაპიტალი სულ 987685,2 ლარი, საიდანაც 737696.1 ლარის სატრანსპორტო საშუალება, 73106 ლარის მიწის ნაკვეთი, 56738.5 ლარის შენობა-ნაგებობა, 119792.6 ლარის მოწყობილობა, 352 ლარის საოფისე ინვენტარი.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ბალანსზე რიცხული 1500 კვადრატული მეტრი მიწის ფართი და მასზე დამაგრებული სადურგლო საამქრო მდებარეობს ყოფილი ქედის სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე. სადურგლო საამქროს გამოყენება ხდება ფიზიკური პირების მიერ, რომლებთანაც არავითარი ხელშეკრულება შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს გაფორმებული არ აქვს.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ბალანსზე ერიცხება ადმინისტრაციული შენობა ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 532,97 ლარის, რომელიც დაკავებული აქვს მოქალაქეს და უკვე მრავალი წელია იყენებს საცხოვრებლად.

ამჟამად, შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ დაკავებული ფართი, რომელსაც ის ადმინისტრაციული საქმიანობისათვის იყენებს, არაა გადაცემული ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსიდან შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ბალანსზე.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორის 2019 წლის 4 იანვარს №01-02/3 ბრძანებით შექმნილია დაზიანებული საქონლის ჩამომწერი კომისია, რომლის მეშვეობითაც ჩამოიწერა 13512.12 ლარის ღირებულების გამოუყენებელი და დაზიანებული საქონელი, მაგრამ არაა შედგენილი აქტი გამოსაყენებლად უვარგის მატერიალურ მარაგებზე, რომელშიც მიეთითება ექსპლუატაციაში ყოფნის დრო, გაცვეთის მიზეზი, სამეურნეო საჭიროებისათვის შემდგომში მათი გამოყენების შესაძლებლობები და სხვა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციაში ინვენტარი არაა დანომრილი.

დასკვნა

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“ თავის საკუთრებაში არსებულ ქონებას უნდა იყენებდეს ეფექტურად თავისი ინტერესებიდან გამომდინარე და უნდა მიიღოს

დამატებითი შემოსავლები, ხოლო გამოუყენებელი ან უფუნქციოდ დარჩენილ აქტივები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გასხვისდეს.

რეკომენდაცია

№2 -შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-მა გამოუყენებელი სადურგლო საამქრო და ადმინისტრაციული შენობა კანონმდებლობის დაცვით დაუბრუნოს დამფუძნებელს ქედის მუნიციპალიტეტის მერიას.

№3 -ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების განყოფილების მიერ მომზადებულ იქნას დოკუმენტაცია, შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ბალანსზე შენობის იმ ფართის გადაცემაზე, რომელსაც ორგანიზაცია ამჟამად ადმინისტრაციული საქმიანობის შესასრულებლად იყენებს.

აუდიტის მიგნება

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის მონიტორინგი

2019-2020 წლების განმავლობაში სათადარიგო ნაწილების შეძენისათვის დახარჯულია შესაბამისად 36511.4 - 36643.1 ლარი, ხოლო საწვავის შესაძენად 136343.95 - 87901.38 ლარი.

2019 წლის 3 იანვრის შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორის №01-02/4 ბრძანებით დამტკიცებულია ორგანიზაციის ბალანსზე დარიცხული ავტომანქანებზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტი, კერძოდ:

- 1) HONDA სახ. ნომრით FH878HF თვიური ლიმიტი შეადგენს 900 ლიტრ ბენზინს.
- 2) პეჟო ავტომანქანა სახ. ნომრით CCO-848 თვიური ლიმიტი შეადგენს 300 ლიტრ დიზელს.
- 3) ბელორუსის ტრაქტორი სახ. ნომრით BS-016 შეადგენს საათში 13 ლიტრ დიზელს.
- 4) ნაგავმზიდი MANI QQ-836-DD-ის ყოველთვიური ლიმიტია 1500 ლიტრი დიზელი.
- 5) FORDI სახ. ნომ. UY858YU-ის ყოველთვიური ლიმიტია 150 ლიტრი დიზელი.
- 6) ბელარუსი BS-095-S საწვავის ლიმიტი გადაადგილების დროს შეადგენს 9,9 ლიტრს, ხოლო მუშა მდგომარეობის დროს 14,5 ლიტრს საათში.
- 7) MERSEDES BENS UU-797-PP -ის ყოველთვიური ლიმიტია 1500 ლიტრია.

შემოწმების შედეგად ჩანს, რომ ყოველთვიურად საშუალოდ იხარჯება 900 ლიტრი ბენზინი და 3696 ლიტრი დიზელის საწვავი, მოხმარებაც მაღალია და ვთვლით, რომ აღნიშნული უკონტროლობისა და არაეფექტიანად ხარჯვაზე მიგვანიშნებს.

ორ ავტომანქანაზე 1. MERSEDES BENS UU-797-PP-ზე 2. ნაგავმზიდი MANI QQ-836-DD-ზე დამონტაჟებულია ჯიპიარესი და ნომრიანი პლასტიკური ბარათი რომლითაც კონტროლდება გადაადგილების მარშუტი და საწვავის ჩასხმის ოდენობა.

ორ ავტომანქანაზე FORDI სახ. ნომ. UY858YU -ზე და HONDA სახ. ნომრით FH878HF-ს ავტომანქანაზე დამონტაჟებულია აგაი სისტემა, რომლითაც კონტროლდება საწვავის ლიმიტით ჩასხმის ოდენობა, ხოლო დანარჩენ ავტომანქანებზე საწვავის ჩასხმა ხდება უნომრო პლასტიკური ბარათით. საწვავის ხარჯვის ჩამოწერისთვის ბუღალტერიაში ინახება დოკუმენტები, რომელშიც მოცემულია ავტომანქანის დასახელება, საწვავის ხარჯვის ოდენობა, მარშუტი, დრო, გავლილი კილომეტრობა ან ნამუშევარი საათების რაოდენობა.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ხელმძღვანელობას თავისი წესდებიდან გამომდინარე უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს გააჩნია ერთი ტრაქტორი, ერთი ექსკავატორი და განსაზღვრული აქვს საწყისი საიჯარო ღირებულება თვეზე და დღიურად გაანგარიშებული, რითაც 2019 წელს შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ტრაქტორის გაქირავებით მიღებული აქვს 3241,12 ლარი, ხოლო 2020 წელს კი 1650 ლარი.

2019-2020 წლებში შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ ტექნიკის გამოყენება უმრავლეს შემთხვევაში ხდებოდა მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად, რომლებზეც მოთხოვნას აკეთებდა შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები მოხსენებითი ბარათის მეშვეობით, სამუშაოების დაწყებამდე რწმუნებულთან ერთად მოწმდებოდა შესასრულებელი სამუშაოების ადგილები, იგეგმებოდა სამუშაოების ჩატარების პროცესები და ამის შემდეგ ხდებოდა სამუშაოების შესრულება, შესრულებულ სამუშაოებზე დგებოდა დოკუმენტაცია, რომელსაც ხელს აწერდა შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის რწმუნებული და შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს წამომადგენელი.

2019-2020 წლებში ტექნიკის გაქირავებით მიღებული შემოსავალი ძალიან მცირეა, მაშინ, როცა არსებულ ტექნიკის მომსახურებაზე მოთხოვნა მაღალია ბაზარზე და შეიძლება წლიურად სოლიდური შემოსავლების მიღება, ამიტომ ორგანიზაციამ უნდა იზრუნოს სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით გაზარდოს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლები.

დასკვნა

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-ს სპეც ტექნიკის ხარჯი ყოველწლიურად იზრდება, რაც საჭიროებს მეტი კონტროლის ღონისძიებების განხორციელებას.

ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებიდან რწმუნებულების მოთხოვნით ტექნიკის გამოყენება მოხდეს თანადაფინანსების გზით, რის შედეგადაც შპს „ქედის კომუნალურსერვის“ გაეზრდება მისი შემოსავლები, ამასთან დაკავშირებით საჭიროა შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-ის ხელმძღვანელობისა და მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ შემუშავებული იქნას ერთობლივი წესი ტრაქტორისა და ავტომანქანის გამოყენებისათვის.

2019-2020 წლებში ტექნიკის გაქირავებით მიღებული შემოსავალი ძალიან მცირეა, მაშინ, როცა არსებულ ტექნიკის მომსახურებაზე მოთხოვნა მაღალია ბაზარზე და შეიძლება წლიურად სოლიდური შემოსავლების მიღება, ამიტომ ორგანიზაციამ უნდა იზრუნოს სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით გაზარდოს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლები.

რეკომენდაცია

№4 -შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-ს კუთვნილ სპეც ტექნიკაზე დამონტაჟებული იქნას „ჯიპიარესი“-ს სისტემა.

№5 -ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით მოამზადოს სპეც-ტექნიკის გამოყენების წესი ისე, რომ მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის თანადაფინანსებით მომსახურება და ორგანიზაციის შემოსავლების გაზრდა.

აუდიტის მიგნება

ბიუჯეტის თანხების სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგი

ა) 2019-2020 წლების განმავლობაში საპირფარეშოების აქსესუარების შეძენაზე გაწეულია შესაბამისად 2597,85-650 ლარის ხარჯი, თუმცა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საპირფარეშოებში აქსესუარების ნაკლებობა შეინიშნება და ზოგიერთ შემთხვევაში საპირფარეშოები მოუწესრიგებელი და დაულაგებელიც კი იყო. მაშინ, როცა 14 საპირფარეშოს ყავს დამლაგებელი და ყოველთვიურად ღებულობენ ხელფასს დამტკიცებული საშტატო ნუსხის შესაბამისად.

ბ) ცხოველების გაუნებელყოფისათვის 2019-2020 წლებში დაიხარჯა 4875-4880 ლარი, თუმცა რაიონის მთელ ტერიტორიაზე კვლავ შეინიშნება მაწანწალა ძაღლებისა და კატების რაოდენობის ზრდა.

გ) ქუჩების განათებისათვის 2019 წელს დაიხარჯა 84566,18 ლარი, ხოლო 2020 წელს 9973,66 ლარით მეტი და 94539,84 ლარი შეადგინა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრო სისტემაში ცვალებადი დენის გამო და სხვა მიზეზებითაც მწყობრიდან გამოდის ელ. ნათურები და მათ შეძენაზე 2019 წელს დაიხარჯა 12140,4 ლარი, ხოლო 2020 წელს კი 17498 ლარი.

დასკვნა

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს სოციალური და ეკონომიკური ეფექტის მოხდენაზე, რაც გამომდინარეობდეს უნდა ხარჯ-ეფექტურობის პრინციპის გათვალისწინებით.

რეკომენდაცია

№6 -მკაცრ კონტროლზე აიყვანოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული კვანძების მოწესრიგების საქმე.

№7 -მიიღოს ყველა ზომა ცხოველების გაუვნებელყოფისათვის და მუშაობა ისე წარმართოს, რომ მინიმუმამდე შეამციროს მაწანწალა (ძაღვები, კატები) ცხოველების რაოდენობა.

შემსრულებელი

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის

პირველადი სტრუქტურული ერთეულის

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი



შოთა ბერიძე

(28.01.2022წ.)

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მეოთხე კვარტლის ანგარიში

სამსახურის მიერ გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის შესწავლისა და ანაზღაურების მიზნით. მოქმედებდა სულ 18 მიზნობრივი პროგრამა კერძოდ:

1. „სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა“, რომლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 25 200 ლარს. პროგრამა განახორციელა ტენდერში გამარჯვებული ინდ. მეწარმე შ.პ.ს. „არსი“2-მა და ისარგებლა 23 მოქალაქემ, რის გამოც მე-4 კვარტალში დაიხარჯა 6199,60 ლარი. სამსახურის მიერ პერიოდულად ხორციელდება მონიტორინგი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით.

2. „ამბულატორიული მომსახურების პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 152 000 ლარს, სადაც გათვალისწინებული იყო მძღოლების ხელფასი, საწვავი, ელექტროენერგიის გადასახადი, ექიმის ჩანთის შევსება და დაზღვევის გადასახადი. აღნიშნული მომსახურებისთვის მე-4 კვარტალში ჩარიცხულია 34089 ლარი.

3. „უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დაკრძალვისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 50 000 ლარს. მე-4 კვარტალში პროგრამით ისარგებლა 31 ოჯახმა და ერთმა კოვიდ-19 ვირუსით გარდაცვლილი წევრის ოჯახმა (სარეიტინგო ქულა 100000-ზე ნაკლები). თითო ოჯახს გაეწია 400 ლარიანი დახმარება. დახარჯულია 12800 ლარი.

4. „ჰემოდიალიზის სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციართა (თანმხლები პირის ერთად) მგზავრობის ღირებულების ანაზღაურების პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 13 800 ლარს. ისარგებლა 7 მოქალაქემ, რაზედაც მე-4 კვარტალში ჩარიცხულია 3364 ლარი.

5. „ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების“ პროგრამა რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 34 000 ლარს. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 220 ვეტერანმა და რაც შეეხება მე-4 კვარტალში თხევადი აირით უზრუნველყოფას ვერ განხორციელდა იმის გამო, რომ გაზის საფასური გაძვირდა 1 ლარით და ვერ მოხერხდა ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა.

6. „ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 78 000 ლარს. აღნიშნული პროგრამით მე-4 კვარტალში ისარგებლა 5-მა ოჯახმა. თითოეულ ოჯახს დახმარება გაეწია 1200 ლარით, რისთვისაც დაიხარჯა 6000 ლარი.

7. „საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის“ მიზნობრივი პროგრამა, ბიუჯეტი შეადგენდა 100 000 ლარს, რომლის მოსახლეობაზე გაცემა მოხდა შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით და ისარგებლა 57-მა ოჯახმა.

8. „სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების“ პროგრამა, რომლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 154 000 ლარს. მოსახლეობას ემსახურებოდა 40 მედდა, რომლებიც აღჭურვილი არიან პირველადი მოხმარების მედიკამენტებითა და დამხმარე საშუალებებით, რის გამოც დახარჯულია 12240,24 ლარი. სისტემატიურად ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი.

9. „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის“. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 85 200 ლარს.

მობილური გუნდი ყოველთვიურად ადგილზე მისვლით ახდენდა 50-60 ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების მონახულებას, უწევდა მათ შესაბამის მომსახურებას და სპეციფიკური მედიკამენტების მიწოდებას, რის გამოც ჩარიცხულია 21300 ლარი.

10. „ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის“ პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 12 660 ლარს. ისარგებლა ათმა ბენეფიციარმა. პროგრამა ხორციელდება დახმარების ეროვნული ფონდის თანადაფინანსებით. ბენეფიციარებს მიეწოდებოდათ სამაჯურები (ე.წ. განგაშის ზარი) და ხელჯოხები. აღნიშნულ მომსახურებაზე მე-4 კვარტალში დახარჯულია 2790 ლარი. პროგრამაში ჩართული იყვნენ მოხალისეები და უბნის ექიმები.

11. „სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 25 000 ლარს. პროგრამაში ჩართულია 43 ბენეფიციარი, მაგრამ ამათგან მე-4 კვარტალში შესაბამისი დოკუმენტაცია თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით წარმოადგინა 18 ბენეფიციარმა, რისთვისაც დაიხარჯა 1890 ლარი.

12. „ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შეძენა“, ბიუჯეტი შეადგენდა 160 000 ლარს. პროგრამა გათვალისწინებული იყო 4 ოჯახზე. გამოცადა ტენდერი, რამაც შეადგინა 150757,92 ლარი. გამომდინარე იქედან, რომ პროგრამა უნდა დასრულებულიყო დეკემბრის თვეში, უამინდობის გამო ვერ მოხერდა სამუშაოების გაგრძელება და ვადა გაუგრძელდა 2022 წელში.

13. 0-და 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა. პროგრამაში ჩართულია 67 ბენეფიციარი. თითოეულზე გათვალისწინებული იყო ყოველთვიურად 50 ლარი, რის გამოც მე-4 კვარტალში დაიხარჯა 10050 ლარი.

14. „სამკურნალო/გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა“, რომლის ბიუჯეტი იყო 5 000 ლარი. ქვეყანაში განვითარებული ეპიდვითარების გამო აღნიშნული პროგრამა ვერ განხორციელდა.

15. „ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება“ - ბიუჯეტი შეადგენდა 61 000 ლარი, აღნიშნული პროგრამის შესაბამისად მე-4 კვარტალში 44 ოჯახზე საგარანტიო წერილი გაიცა, მათ მიერ გადასახდელი თანხის დასაფინანსებლად. დაფინანსდა 1525 ლარით.

16. „მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა“- ბიუჯეტი შეადგენდა 300 000 ლარს, მაგრამ მოქალაქეების მოთხოვნის გათვალისწინებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაემატა 40 000 ლარი. აღნიშნული პროგრამის საფუძველზე სრულად გაიცა შესაბამისი ვაუჩერები, რისთვისაც მე-4 კვარტალში დაიხარჯა 84800 ლარი.

17. პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობს მუშაობა წითელი ჯვრის საზოგადოებასა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ერთობლივი პროექტის „საქმიანობთა ცენტრი ქედში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 20 000 ლარს. მე-4 კვარტალში გაიხარჯა 9509,40 ლარი.

18. „ქრონიკული საავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა“, ქრონიკული დაავადებებით (ეპილეფსია და პარკინსონი) დაავადებული მოქალაქეები იმის გამო, რომ ღებულობენ ისეთ მედიკამენტებს (ეპიქსი 1000 მგ. და პარიკინი 0,25 მგ.), რომლებიც არ ფინანსდება სხვა მიზნობრივი პროგრამებით, საჭირო გახდა აღნიშნული პროგრამის შემუშავება, რომლის ბიუჯეტიც განისაზღვრა 4 000 ლარით. პროგრამის განხორციელება დაიწყო მე-4 კვარტალში და ისარგებლა 10-მა ბენეფიციარმა.

სამსახურის მიერ სისტემატიურად ხორციელდება მონიტორინგი თსპ-სა და პჯდ-ის ცენტრებში.

გარდა პროგრამებისა გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მე-4 კვარტალში შუამდგომლობა გაეწია აღნიშნულ პროგრამაში ჩასართავად 6 ოჯახს.

სამთავრობო კომისიაზე განსახილველად შუამდგომლობა გაეწია 2 სახლდამწვარ ოჯახს და 7 მეწყერის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების გამაგრებისათვის ფინანსური დახმარების თაობაზე.

სამსახური ჩართულია სხვადასხვა კუთხით შექმნილი კომისიების მუშაობაში.

შუამდგომლობა გაეწია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ჯანმრთელობის პრობლემების მქონე 4 მოქალაქეს. ასევე სამსახური შუამდგომლობით შევიდა მუნიციპალიტეტის მერთან 32 მოქალაქეზე სხვადასხვა ოპერაციებისა და მკურნალობის დასაფინანსებლად.